

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №45
2023 წლის 15 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს ენერგოსისტემის ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 12 დეკემბრის № 34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, აგრეთვე, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

„საქართველოს ენერგოსისტემის ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 12 დეკემბრის №34 დადგენილების (სარეგისტრაციო კოდი: 300280020.16.009.016235) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დანაკარგები ელექტროენერჯის გადამცემ ქსელში

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ელექტროენერჯის გადამცემ ქსელში ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგი, ქსელში სრული მიღებიდან, განისაზღვროს – 1.97 %.

შენიშვნა: ამ მუხლით განსაზღვრული ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგი არ ითვალისწინებს ტრანზიტით გამოწვეულ ელექტროენერჯის დანახარჯს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

დავით ნარმანია

დავით თვალაბიშვილი
გიორგი ფრუიძე
გიორგი ფანგანი
გოჩა შონია

